სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის 2 წლის ანგარიში

ინფრასტრუქტურული განახლება

- 2019-2020 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთში 3000-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა

- მათ შორის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 1061 პროექტი გამხორციელდა, რომლიც თავად მოსახლეობამ სოფლის კრებებზე აირჩია, ამავე პროგრამით მიმდინარე წელს დაგეგმილია და მიმდინარეობს 895 ინფრასტრუქტურული პროექტი,

- დაიგო და რეაბილიტირდა 362 კმ გზა

- აშენდა 12 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 ხიდს

- წყალმომარაგების მასშტაბური პროექტები: ზუგდიდში, ფოთში, მესტიაში, აბაშაში, ჯვარსა და ანაკლიაში. განხორციელდა 5 და მიმდინარეობს 8 პროექტი.

- ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა 17 ობიექტზე

- სამელიორაციო სამუშაოების კუთხით, მოწესრიგდა 2693 ჰექტარი მიწა

- მრავალბინი საცხოვრებელი ეზოების და ფასადების კეთილმოწყობის კუთხით განხორციელდა 10 პროექტი, დასრულდა 8 სკვერისა და პარკის მოწყობა, ამჟამად მიმდინარეობს 10 პროექტი, გარე განათება მოეწყო 7 კილომეტრზე მეტ მონაკვეთზე

- სტიქიის პრევენციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა - 38 პროექტი
- სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამის ფარგლებში დასრულდა 68 ობიექტის რეაბილიტაცია-მშენებლობა

- აბაშასა და ხობში აშენდა საზოგადოიებრივი მომსახურეობის ცენტრები

- მესტიასა და წალენჯიხაში მიმდინარეობს საპატრულო პოლიციის შენობების მშენებლობა

- ზუგდიდში გაიხსნა რეგიონალური სახანძრო-სამაშველო სამსახურის ახალი შენობა

- ანაკლიაში, წალენჯიხასა და მარტვილში საგანგებო სიტუაციების მართვის ბრიგადებისთვის ცენტრების მშენებლობა მიმდინარეობს

- გაზიფიცირდა 70 სოფელი. გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში. მიმდინარეობს სამუშაოები და სატენდერო პროცედურები 12 ობიექტზე.

- მესტიის მუნიციპალიტეტის უშუქოდ დარჩენილ სოფლებს - ჰეშკილსა და ხალდეს ელექტროენერგია მიეწოდა.

ჯანდაცვა

- გაიხსნა რუხის საავადმყოფო, კლინიკა ამჟამად კორონავირუსთან ბრძოლის საქმიანობაშია ჩართული

- აშენდა 26 ახალი ამბულატორია, რეაბილიტირდა 23 ამბულატორია

- ზუგდიდში მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 26 სოციალურად დაუცველ ოჯახს ახალი სახლი აუშენდა. მიმდინარე წელს კი 24 ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდება.

- აშენდა გადაუდებელი დახმარების 8 ცენტრი, დასრულების ეტაპზეა კიდევ 1 ცენტრის მშენებლობა

- მუნიციპალიტეტებმა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების ფარგლებში 51 126 ბენეფიციარი 14 მილიონ ლარზე მეტით დააფინანსეს.

- პანდემიის დროს სასურსათო დახმარება გაეწია 20 000 -ზე მეტ ოჯახს

ჯანდაცვა და სოციალური პირობების გაუმჯობესება

- უახლოეს პერიოდში ბინები გადაეცემა 360 დევნილ ოჯახს. მიმდინარეობს 640 ბინის მშენებლობა, რომელიც 2021 წლის დასაწყისში დევნილ ოჯახებს გადაეცემათ.

- 2019-2020 წელბში, სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში 634 დევნილ ოჯახს სახლი შევუსყიდეთ.

განათლების ხელშეწყობა

- ფოთში, ბათუმის საზღვაო აკადემიის ფილიალის მშენებლობა მიმდინარეობს. რომელიც 1000 სტუდენტზე იქნება გათვლილი.

- დასრულდა 3 და მიმდინარეობს 11 საბავშვო ბაღის მშენებლობა

- მიმდინარეობს 10 საჯარო სკოლის მშენებლობა. სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 100-ზე მეტ სკოლას.

- მიმდინარეობს ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკისა და ახალგაზარდული ცენტრის საპროექტო სამუშაოები.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება

- 2019 წელიდან დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება.

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა შეიძინა 15 ახალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული ავტობუსი.

- 2020 წელს ზუგდიდს დამატებით 25, ფოთში კი 10 ახალი ავტობუსი ეყოლება

კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია

ფონდ ქართუს დაფინანსებით:

- შენდება ზუგდიდის თეატრი,
- რეაბილიტაცია უტარდება სენაკის დრამატულ თეატრს,
- მიმდინარეობს ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია სოფელ ხიბულაში,
- რეაბილიტაცია უტარდება მესტიის მუნიციპალიტეტში კოშკებს და მაჩუბებს,
- **ფოთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ყოფილი უშიშროების შენობის) და მხატვართა სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს**

სპორტული ობიექტების განახლება

- დაიწყო ზუგდიდის და ფოთის ცენტრალური სტადიონის მშენებლობის მეორე ეტაპის სამუშაოები,

- მუნიციპალიტეტებში მოეწყო 14 სპორტული მოედანი, შენდება საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი ფოთში.

- ფოთსა და რუხში შენდება საფეხბურთო აკადემიის ბაზები

ტურიზმის განვითარება

- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზუგდიდის ისტორიულ ბოტანიკურ ბაღს,
- მიმდინარეობს ნოქალაქევის კომპლექსის რეაბილიტაციის და მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები,
- ნოქალაქევში მოეწყო თოკების პარკი
- კოლხეთის ეროვნულ პარკში ჭურიაში ეწყობა ვიზიტორთა ცენტრი და ტურისტული ატრაქცია
- მოხდა კურორტ ლებარდეს განაშენიანების გენარალური გეგმის დამტკიცება
- იწყება ტობავარჩხილის ტბებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
- რეგიონში ფუნქციონირებს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO)
- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა და დაფუძნდა კოლხური ღვინის ფესტივალი,
- ალექსანდრე მოწერელიას უშუალო ჩართულობით, მიმდინარე წელს სამეგრელო-ზემო სვანეთი პერიფერიული საზღვაო რეგიონების კავშირის (CPMR) სრულუფლებიანი წევრი გახდა.

სოფლის მეურნეობისა და მეწარმეთა ხელშეწყობა

- 2019 – 2020 წლების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, 2000 შესაწამლი აპარატი გადაეცა ფერმერთა ჯგუფებს.

- ამ დროის მონაცემებით „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების“ პროგრამის ფარგლებში 2020 წელს ბენეფიციარებზე გაიცა 2 029 410 ლიტრი საწვავი.

- 2019 - 2020 წლებში ,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში დაფინანსდა 492 პროექტი
- 2019 - 2020 წლებში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ - ს ფარგლებში დაფინანსდა 2 პროექტი.

- 2019 - 2020 წლებში „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის” ფარგლებში დაფინანსდა 2 პროექტი

- 2019 - 2020 წლებში სახელმწიფო პროგრამით „დანერგე მომავალი“ ისარგებლა 390 ბენეფიციარმა.

- 2019 - 2020 წლებში ,,გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის" ფარგლებში დაფინანსდა 1 პროექტი

- 2019 - 2020 წლებში აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 18 პროექტი

- 2019 - 2020 წლებში „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)" თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 26 ბენეფიციარი.

- აგროდაზღვევით 2019 – 2020 წლებში ისარგებლა 1711 ბენეფიციარმა.

- სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი ოფისები გაიხსნა მესტიაში, ფოთსა და აბაშაში.

- პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში, 2019 -2020 წლებში 5 საწარმო დაფინანსდა.

- პროგრამის „აწარმოე საქართველოში" სასტუმროების კომპონენტის ფარგლებში, 2019 - 2020 წლებში 12 საწარმო დაფინანსდა.